საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ქ. ზუგდიდში, შპს „კოლხეთი ცემენტი"-ს ცემენტის (კლინკერის, თაბაშირის და დანამატების დაფქვა) საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის საწარმოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო, კანონით დადგენილ დოკუმენტაციას.

ამასთან, მოგახსენებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობას გავლილი აქვს სკოპინგის პროცედურა (01.04.2021; სკოპინგის დასკვნა N17).

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაძლებლობის შემთხვევაში შპს „კოლხეთი ცემენტი"-ს სახელზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);
2. დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში-1 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელ. ვერსია;
3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით);
4. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი- 3 ეგზემპლარი;
5. გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე -1 ეგზემპლარი;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „მგტ"-ის რეგისტრაციის თაობაზე;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საწარმოს მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის კუთვნილების თაობაზე;
8. დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საწარმოს განთავსების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები GIS -ის სისტემაში;
9. სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი მოსახლეობის დამოკიდებულებებისა და პოზიციების შესწავლის კითხვარების ასლები - ელ. ვერსია;
10. ქ. ზუგდიდის მაცხოვრებლების კოლექტიური განცხადება საწარმოს მშენებლობასთან დაკავშირებით და მათი ხელმოწერები - ელ. ვერსია.

პატივისცემით,

შპს „კოლხეთი ცემენტი"-ს დირექტორი

რუბენ გახარია

Quality Control LLC * 204556574 * ჯგ. ლ. ხუციშვილი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი + 02 + სოფიასფლი
№ 40913
21.06.2021